

სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო



## საკონკურსო დოკუმენტაცია

დაცული ტერიტორიების ინფრასტრუქტურის დაგეგმვა/მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო  
დოკუმენტაციის შესყიდვის მიზნით

---

წინამდებარე საკონკურსო დოკუმენტაცია შედგენილია „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პრობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის პრობების შესაბამისად საფუძველზე.

ქ. თბილისი  
2012წელი

## 1. საკონკურსო განცხადება

1.1. სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო აცხადებს კონკურსს დაცული ტერიტორიების ტურისტული ინფრასტრუქტურის დაგეგმვა/მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე (CPV71200000 – არქიტექტურული და მასთან დაკავშირებული მომსახურებები) და კონკურსში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს;

1.2. კონკურსის მიზანია საუკეთესო არქიტექტურული კონცეფციისა და ესკიზის გამოვლენა და შემდგომში გამარჯვებული კონკურსანტის მიერ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და დეფექტური აქტების შედგენა. კონკურსანტმა საკონკურსო წინადადებაში უნდა წარმოადგინოს შესასრულებელი სამუშაოების არქიტექტურული კონცეფცია და ესკიზები (რენდერი).

1.3. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 25 000 (ოცდა ხუთი ათასი) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ყველა გადასახადის ჩათვლით.

1.4. საკონკურსო წინადადების წარდგენისათვის პირი იხდის საფასურს 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე [www.procurement.gov.ge](http://www.procurement.gov.ge)

1.5. **საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:**

ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;

ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი (სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო, ს/კ 204911337);

გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;

დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისათვის მინიჭებული უნიკალური ნომერი;

1.6. საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, არ განიხილება. 1.4 და 1.5 პუნქტის დარღვევით წარდგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის შემთხვევაში, პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას;

1.7. წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება მოქმედებს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე;

1.8. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე. უცხო ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში მათ თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი. აღნიშნულ შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ქართულ თარგმანს;

1.9. საკონკურსო წინადადების მიღება იწყება 2012 წლის 18 მაისს;

1.10. საკონკურსო წინადადების მიღება მთავრდება 2012 წლის 28 მაისს, 17:00 საათზე; დაინტერესებულმა პირებმა საკონკურსო წინადადება დალუქული პაკეტით უნდა წარმოადგინონ 2012 წლის 28 მაისის ჩათვლით 17:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გულუას ქ. №6, მე-5 სართული, სააგენტოს ეკონომიკურ სამსახურში.

1.11. დალუქული პაკეტების გახსნა მოხდება 2012 წლის 28 მაისს, 17:30 საათზე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გულუას ქ. №6, მე-5 სართული (საკონფერენციო დარბაზი 523 ოთახი).

1.12. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ განიხილება და დაუბრუნდება კონკურსანტს;

1.13. კონკურსანტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი საკონკურსო წინადადება. ალტერნატიული წინადადება არ განიხილება.

## **2. საკონკურსო პირობები**

### **2.1. საკვალიფიკაციო მოთხოვნები**

საკვალიფიკაციო მოთხოვნების თანახმად, პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

#### **2.1.1. იურიდიული პირებისათვის:**

ა) ცნობა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ბ) ამონაწერი საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, იურიდიული პირის ქონებაზე საჯარო სამართლებრივი შეზღუდვის (ყადალის) არარსებობის შესახებ.

#### **2.1.2. ფიზიკური პირებისათვის:**

ა) ცნობა უფლებამოსილი ორგანოდან, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება.

#### **2.1.3. როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირებისათვის:**

ა) ცნობა შემოსავლების სამსახურიდან (საგადასახადოდან) ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არ არსებობის შესახებ;

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (გარდა იურიდიული პირისა);

გ) არარეზიდენტმა პრეტენდენტ(ებ)მა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

*2.1 პუნქტით განსაზღვრული საკონკურსო პირობებით განსაზღვრული დოკუმენტები, გარდა 2.1.3. პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დოკუმენტისა, გაცემული უნდა იქნას კონკურსის გამოცხადების შემდეგ.*

#### **2.1.4. საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა:**

ა) საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, დედნის სახით ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები, წარმოდგენილ უნდა იქნეს შემსყიდველ ორგანიზაციაში მოთხოვნის შესაბამისად, კონკურსანტის გამარჯვებულად გამოცხადების შემდგომ, ხელშეკრულების დადებამდე;

ბ) საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემული უნდა იყოს კონკურსისათვის სტატუსის „კონკურსი გამოცხადებულია“ მინიჭების შემდგომ.

### **2.2. შეფასების კრიტერიუმები:**

**საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა განხორციელდება შემდეგი კრიტერიუმებით:**

ა) არქიტექტურული კონცეფცია და ესკიზი - კოეფიციენტი 0.3;

ბ) ანალოგიური საქმიანობის გამოცდილების შესახებ - კოეფიციენტი 0.3;

გ) გასაწევი მომსახურების ფასი - 0.4

დ) შეფასება განხორციელდება 10 ქულიანი სისტემით;

### **2.3. ინფორმაცია კონკურსანტის გამოცდილების შესახებ:**

- ა) ინფორმაცია ანალოგიური მომსახურების შესრულების შესახებ;
- ბ) ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ცხრილი №2-ის შესაბამისად;
- გ) პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს კონკურსით გათვალისწინებული ანალოგიური ხასიათის, სირთულისა და შინაარსის სამუშაოს შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები (მომსახურების გაწევის მიღება-ჩაბარების აქტების ასლები).

**2.4. საკონკურსო წინადადების ფასი:**

- ა) საკონკურსო წინადადების ფასში ასახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი;
- ბ) თუ პრეტენდენტი არ არის დღგ-ს გადამხდელი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მისი საკონკურსო წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს დღგ-ს გარეშე (კონკურსანტმა შენიშვნის სახით უნდა მიუთითოს გარემოება, რის საფუძველზეც არ ითვლება დღგ-ის გადამხდელად);
- გ) საკონკურსო წინადადება, რომლის ფასიც აღემატება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას (25000 ლარი), არ განიხილება.

**2.5. ხელშეკრულების აუცილებელი პირობები:**

**2.5.1. ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია:**

- ა) გამარჯვებულმა პრეტენდენტმა ხელშეკრულების დადებამდე უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 2% პროცენტის ოდენობით, დანართი №1-ის მიხედვით;
- ბ) ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა არანაკლებ 30(ოცდაათი) კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდების ვადას.
- დ) კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ მიენიჭება ყველაზე მაღალი ჯამური ქულა; ქულათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტს წარმოადგენს კომისიის თავმჯდომარის პოზიცია.

**2.5.2. ანგარიშსწორების პირობა:**

- ა) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, ვალუტა - ლარი;
- ბ) შესაძლებელია საავანსო ანგარიშსწორება, არა უმეტეს 50%-ისა, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საბანკო გარანტიის საფუძველზე. საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა არანაკლებ 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების გათვალისწინებული მომსახურების მიწოდების ვადას;
- გ) საბოლოო ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10(ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

**2.5.4. მომსახურების ვადა:**

- ა) კონკურსანტმა მომსახურება უნდა განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმებიდან ეტაპობრივად, კერძოდ საკონკურსო დოკუმენტაციის:
  - ა.ა) 3.3.1 პუნქტით განსაზღვრული დავალების შესრულება არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღისა;
  - ა.ბ) 3.3.2 პუნქტით განსაზღვრული დავალების შესრულება არაუგვიანეს 40 (ორმოცი) კალენდარული დღისა;

ა.გ) 3.3.3 პუნქტით განსაზღვრული დავალების შესრულება არაუგვიანეს 100 (ასი) კალენდარული დღისა;

ა.დ) 3.3.4 პუნქტით განსაზღვრული დავალების შესრულება არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღისა;

ა.ე) 3.3.5 პუნქტით განსაზღვრული დავალების შესრულება არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღისა;

ა.ვ) 3.3.6 პუნქტით განსაზღვრული დავალების შესრულება არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღისა;

ა.ზ) 3.3.7 პუნქტით განსაზღვრული დავალების შესრულება არაუგვიანეს 70 (სამოცდაათი) კალენდარული დღისა;

ა.თ) 3.3.8 პუნქტით განსაზღვრული დავალების შესრულება არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღისა;

2.5.5. ხელშეკრულების საბოლოო ვარიანტი დაზუსტდება კონკურსში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში, გარდა საკონკურსო დოკუმენტაციის 2.5. პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნებისა.

## **2.6. კონკურსანტმა უნდა უზრუნველყოს:**

ა) საკონკურსო დოკუმენტაციით განსაზღვრული დოკუმენტების წარმოდგენა შემსყიდველ ორგანიზაციაში შემდეგი თანმიმდევრობით:

- საკონკურსო წინადადების ფასი, ვალუტა-ლარი;
- ტექნიკური დავალება, კონცეფცია, რენდერები, განმარტებითი ბარათი;
- ინფორმაცია კონკურსანტის გამოცდილების შესახებ;
- ხელშეკრულების აუცილებელი პირობები;
- კონკურსანტი პირის რეკვიზიტები, რომელშიც მითითებული უნდა იყოს:
- კონკურსანტის იურიდიული ფორმა და დასახელება
- საიდენტიფიკაციო კოდი/ ნომერი
- კონკურსანტის იურიდიული და ფაქტიური მისამართი:
- ხელმძღვანელის სახელი, გვარი
- კონკურსანტის ტელეფონის ნომერი: ☐ტელ.:                   ; ☐ ფაქსი.:                   ; ☐ მობ.:
- ელექტრონული მისამართი, E-mail:
- ბანკის დასახელება
- ბანკის კოდი
- ანგარიშსწორების ანგარიში

ბ) ყველა დოკუმენტი ხელმოწერილი და ბეჭედდასმული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.

2.10. საკონკურსო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება შესაძლებელია საკონტაქტო პირისაგან: ვახტანგ ტუკვაძე, ტელ: (99532) 2752352. წერილობითი მიმართვის შემთხვევაში. ქ. თბილისი, გულუას ქ. №6; მე-5 სართული, E-mail [vtukvadze@gmail.com](mailto:vtukvadze@gmail.com)

### 3. ტექნიკური დავალება

#### 3.1. შესყიდვის ობიექტი:

ა) დაცული ტერიტორიების ტურისტული ინფრასტრუქტურის დაგეგმვა/მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება.

#### 3.2. გასაწევი მომსახურება:

ა) საპროექტო სამუშაოები;

ბ) სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის, დეფექტური აქტის მომზადება და ობიექტის სავარაუდო ღირებულების დადგენა;

გ) საჭირო შემთხვევებში დამატებითი მომსახურების გაწევა:

ე) დეფექტური უწყისებით ხარჯთაღრიცხვების შედგენა;

დ) ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება;

ზ) გეოლოგიური გამოკვლევა (საჭიროების შემთხვევაში).

#### 3.3. დავალების შინაარსი

3.3.1 ტექნიკური დავალება, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ვიზიტორთა ცენტრისა და ადმინისტრაციული შენობის უკანა ფასადის და სასმელი წყლის რეზერვუარის შესაკეთებელი სამუშაოების მოცულობების უწყისის დამუშავებისა და საორიენტაციო ღირებულების განსაზღვრისათვის:

##### 1. ობიექტის დახასიათება და შემსრულებლის მოვალეობანი

- ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ვიზიტორთა ცენტრი და ადმინისტრაციული შენობა მდებარეობს ქ. ბორჯომში მესხეთის ქ. №23.

- ამჟამად შენობის უკანა ფასადის კედლები განიცდის გრუნტიდან ინფილტრირებული სინესტის ზემოქმედებას და ამ მიზეზით მათი შიდა და გარე ზედაპირების მოპირკეთება ზიანდება. დაზიანებულია და აღდგენა შეკეთებას მოითხოვს ასევე სასმელი წყლის სამარაგე რეზერვუარი.

ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ ძირითად სარეაბილიტაციო ღონისძიებებს:

\_ შენობის უკანა ფასადის კედლის და საძირკვლის ჰიდროიზოლაცია მათი ინფილტრატისაგან დასაცავად;

\_ შენობის უკანა ფასადის რეაბილიტაცია.

\_ სასმელი წყლის მიწისქვეშა რეზერვუარის რეაბილიტაცია. (იგეგმება რეზერვუარის დასუფთავება, შიდა ზედაპირის და სახურავის რეაბილიტაცია).

- შემსრულებელს ევალება ადგილზე დაათვალიეროს, შეისწავლოს და აღრიცხოს დაზიანებები, დასახოს ზემოთ აღნიშნული სარეაბილიტაციო ღონისძიებების განხორციელების გზები და შეადგინოს მათ უზრუნველსაყოფად ჩასატარებელი შესაკეთებელი სამუშაოების სრული ნუსხა, რაოდენობრივი მახასიათებლების ჩვენებით. მის ვალდებულებაში შედის ასევე სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების მეთოდების და ტექნოლოგიების შერჩევა.

- ზემოთმოყვანილ ღონისძიებათა განსხვავებული დაზიანებების აღმოჩენის შემთხვევაში შემსრულებელი ვალდებულია დამკვეთთან ერთად გადაწყვიტოს ამ დაზიანებების შესაკეთებელ სამუშაოთა უწყისში შეტანის საკითხი.

- დამკვეთთან შეთანხმებული შესაკეთებელ სამუშაოთა მოცულობების უწყისის საფუძველზე შემსრულებელმა უნდა შეადგინოს სამუშაოთა საორიენტაციო ღირებულების კალკულაცია.

## **2. მოთხოვნები შემსრულებლის მიერ დასამუშავებელი დოკუმენტაციისადმი**

შემსრულებელი ვალდებულია დაამუშაოს და წარუდგინოს დამკვეთს მინიმუმ შემდეგი დოკუმენტაცია:

- \_ განმარტებითი ბარათი;
- \_ სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების მოცულობების უწყისი;
- \_ სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების ღირებულების კალკულაცია;
- \_ გრაფიკული ნაწილი.

2.1 განმარტებითი ბარათი უნდა მოიცავდეს სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების მოცულობების უწყისში მითითებული სამუშაოების ტექნოლოგიური თანამიმდევრობისა და მეთოდების დაწვრილებით აღწერას და ინორმაციას მათი განხორციელების ნორმატიული ვადის შესახებ. აქვე აუცილებლად მითითებული უნდა იყოს გამოყენებული სამშენებლო მასალების და ნაკეთობების ხარისხობრივი მაჩვენებლები.

2.2 სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების მოცულობების უწყისი დამუშავებული უნდა იქნეს ელემენტარული სამშენებლო სამუშაოების დონეზე. მათი რაოდენობრიობრივი მახასიათებლები უნდა ეყრდნობოდეს ადგილზე გაზომვებს, ხოლო გამოყენებული მასალების რაოდენობა უნდა შეესაბამებოდეს მასალათა ხარჯის მოქმედ ნორმატივებს.

2.3 სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების ღირებულების კალკულაცია უნდა შესრულდეს სამუშაოთა მოცულობების უწყისის საფუძველზე. ხელფასისა და მასალების ღირებულების განსაზღვრა განხორციელდეს მოქმედ საბაზრო ფასებზე დაყრდნობით.

2.4 გრაფიკული ნაწილი უნდა მოიცავდეს შენობის სქემატურ გეგმებს, რომლებზეც მითითებული იქნება შესასრულებელი სამუშაოების ადგილები.

### **შენიშვნა:**

ობიექტის სართულების გეგმების ნახაზებს შემსრულებელს მიაწვდის დამკვეთი. აღნიშნული ნახაზები წარმოადგენს საპროექტო დოკუმენტაციას და მოითხოვს გადამოწმებას შემსრულებლის მიერ ადგილზე.

**3.3.2 ტექნიკური დავალება ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციული შენობის სარეკონსტრუქციო-შესაკვებელი სამუშაოების მოცულობების უწყისის დამუშავებისა და საოერინტაციო ღირებულების განსაზღვრისათვის და საგამოფენო დარბაზის ინტერიერის დიზაინის პროექტის მომზადებისათვის:**

#### **1. ობიექტის დახასიათება და შემსრულებლის მოვალეობანი**

- ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციული შენობა მდებარეობს ქ. ლაგოდეხში ვაშლოვანის ქ. №197 და განთავსებულია ორსართულიან ნაგებობაში, საერთო ფართობით 519მ<sup>2</sup>.
- ამჟამად შენობის შიდა ინტერიერის მოპირკეთება ნაწილობრივ დაზიანებულია და მოითხოვს აღნუსხვას და შეკეთებას. დაზიანებულია აგრეთვე შენობის სახურავი, ფასადის ხის კონსტრუქციები, განათება და შენობიდან გამომსვლელი საკანალიზაციო მილსადენი. გარდა შესაკვებელი სამუშაოებისა შენობაში საჭიროა სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარებაც, რომელიც გამოწვეულია ზოგიერთი სათავსის ფუნქციის შეცვლით. ასევე, საჭიროა შესრულდეს არსებული საგამოფენო დარბაზის ინტერიერის შეცვლა, რისთვისაც უნდა დამუშავდეს მისი რეკონსტრუქციის დიზაინ-პროექტი.
- შეკეთებას მოითხოვს ეზოს ინფრასტრუქტურაც.

#### **1.1 სარეკონსტრუქციო-შესაკვებელი სამუშაოები**

**ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ ძირითად სარეაბილიტაციო და სარეკონსტრუქციო ღონისძიებებს:**

- \_ შენობის კედლების და ჭერების შიდა მოპირკეთების აღდგენა დაზიანებულ უბნებში;
- \_ კიბის საფეხურების რეაბილიტაცია;
- \_ შენობის პირველ სართულზე განთავსებული სველი წერტილის და საშხაპის რეაბილიტაცია;
- \_ შენობის პირველ სართულზე მთავარი შესასვლელი კარის შეცვლა;
- \_ საგამოფენო დარბაზის მთავარი შესასვლელი კარის შეცვლა;
- \_ შენობის პირველ სართულზე მთავარი შესასვლელი კარის მარჯვნივ განთავსებული ოთახის რეკონსტრუქცია. აღნიშნულ ოთახში იგეგმება ვიზიტორთა სპეციალისტის განთავსება. ამისათვის საჭიროა ოთახის ჰოლის მიმდებარე კედელი მოიხსნას და მის მაგივრად მოეწყოს გამჭირვალე მინის ტიხარი. საჭიროა ოთახის იატაკის და შიდა მოპირკეთების განახლება;
- \_ საგამოფენო დარბაზის სივრცის გაფართოება მიმდებარე აივნის ხარჯზე;
- \_ მეორე სართულზე კიბის მიმდებარედ მთავარი ფასადის გასწვრივ საკონფერენციო სივრცის ორგანიზება. აღნიშნულის განსახორციელებლად საჭიროა ამ სივრცეში განთავსებული მსუბუქი ტიხრების დემონტაჟი, იატაკის, კედლების და ჭერის მოპირკეთების განახლება და ტექნიკური მოწყობილობებისათვის საჭირო ელექტრო და სუსტდენიანი ქსელების მოწყობა.
- \_ მეორე სართულზე, საგამოფენო დარბაზის მეორე სინათლის მიმდებარედ განთავსებულ ტერასაზე მცირე ზომის დასასვენებელი სივრცის ორგანიზება, რომელიც მოემსახურება ახალ საკონფერენციო დარბაზს. ამისათვის საჭიროა ზემოთ აღნიშნულ სივრცეში იატაკის, კედლების და ჭერის მოპირკეთების განახლება და მისი აღჭურვა შესაბამისი ავეჯით, ინვენტარით და ტექნიკური მოწყობილობით (სასადილო მაგიდები, სკამები, ყავის და ჩაის მოსამზადებელი აპარატები და სხვ.). ასევე საჭიროა აღნიშნული ტექნიკური მოწყობილობის ელექტრო უზრუნველყოფა.
- \_ მე-2 სართულზე არსებული ოთახების ჭერის და კედლების მოპირკეთების რეაბილიტაცია.
- \_ შენობის სახურავის რეაბილიტაცია;
- \_ შენობის ფასადზე არსებული ხის დეკორატიული ეკრანისა და შენობის ფასადის განათების რეაბილიტაცია;
- \_ შენობიდან გამომსვლელი საკანალიზაციო მილსადენის დაზიანების შესწავლა და მისი რეაბილიტაცია;
- \_ შენობაბმდე მისასვლელი საფეხმავლო ბილიკის (სიგრძით 40 მ-დე) საფარის რეაბილიტაცია და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა;
- \_ ვიზიტორთა ცენტრის ეზოში შესასვლელი ცენტრალური ჭიშკრის რეაბილიტაცია.
- \_ ეზოს ცენტრალურ ჭიშკართან ხის ბრენდირებული ლოგოს მოწყობა.
  - შემსრულებელს ევალება ადგილზე დაათვალიეროს, შეისწავლოს და აღრიცხოს შენობის დაზიანებები, დასახოს ზემოთ აღნიშნული სარეკონსტრუქციო-სარეაბილიტაციო ღონისძიებების განხორციელების გზები და შეადგინოს მათ უზრუნველსაყოფად ჩასატარებელი შესაკეთებელი და სამშენებლო სამუშაოების სრული ნუსხა, რაოდენობრივი მახასიათებლების ჩვენებით. მის ვალდებულებაში შედის ასევე სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების მეთოდების და ტექნოლოგიების შერჩევა.
  - ზემოთ მოყვანილ ღონისძიებათა განსხვავებული დაზიანებების აღმოჩენის შემთხვევაში შემსრულებელი ვალდებულია დამკვეთთან ერთად გადაწყვიტოს ამ დაზიანებების შესაკეთებელ და სარეკონსტრუქციო სამუშაოთა უწყისში შეტანის საკითხი.
  - დამკვეთთან შეთანხმებული სარეკონსტრუქციო-შესაკეთებელ სამუშაოთა მოცულობების უწყისის საფუძველზე შემსრულებელმა უნდა შეადგინოს სამუშაოთა საორიენტაციო ღირებულების კალკულაცია.



## 1.2 საგამოფენო დარბაზის დიზაინ-პროექტი

- შემსრულებელს ევალება ადგილზე დაათვალიეროს, შეისწავლოს საპროექტო სივრცე, შეასრულოს მისი აზომვითი სამუშაოები და დაამუშავოს საგამოფენო დარბაზის ინტერიერის რეკონსტრუქციის დიზაინ-პროექტი სრული მოცულობით.

## 2. მოთხოვნები შემსრულებლის მიერ დასამუშავებელი დოკუმენტაციისადმი

2.1 სარეკონსტრუქციო-შესაკეთებელი სამუშაოების მოცულობების განსაზღვრა და ღირებულების კალკულაცია (ე.წ. დეფექტური აქტი)

შემსრულებელი ვალდებულია დაამუშაოს და წარუდგინოს დამკვეთს მინიმუმ შემდეგი დოკუმენტაცია:

- \_ განმარტებითი ბარათი;
- \_ სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების მოცულობების უწყისი;
- \_ სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების ღირებულების კალკულაცია;
- \_ გრაფიკული ნაწილი.

2.1.1 განმარტებითი ბარათი უნდა მოიცავდეს სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების მოცულობების უწყისში მითითებული სამუშაოების ტექნოლოგიური თანამიმდევრობისა და მეთოდების დაწვრილებით აღწერას და ინორმაციას მათი განხორციელების ნორმატიული ვადის შესახებ. აქვე აუცილებლად მითითებული უნდა იყოს გამოყენებული სამშენებლო მასალების და ნაკეთობების ხარისხობრივი მაჩვენებლები.

2.1.2 სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების მოცულობების უწყისი დამუშავებული უნდა იქნეს ელემენტარული სამშენებლო სამუშაოების დონეზე. მათი რაოდენობრიობრივი მახასიათებლები უნდა ეყრდნობოდეს ადგილზე გაზომვებს, ხოლო გამოყენებული მასალების რაოდენობა უნდა შეესაბამებოდეს მასალათა ხარჯის მოქმედ ნორმატივებს.

2.1.3 სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების ღირებულების კალკულაცია უნდა შესრულდეს სამუშაოთა მოცულობების უწყისის საფუძველზე. ხელფასისა და მასალების ღირებულების განსაზღვრა განხორციელდეს მოქმედ საბაზრო ფასებზე დაყრდნობით.

2.1.4 გრაფიკული ნაწილი უნდა მოიცავდეს შენობის სართულების სქემატურ გეგმებს, რომლებზეც მითითებული იქნება შესასრულებელი სამუშაოების ადგილები.

## 2.2 საგამოფენო დარბაზის ინტერიერის რეკონსტრუქციის დიზაინ-პროექტი

შემსრულებელი ვალდებულია დაამუშაოს და წარუდგინოს დამკვეთს მინიმუმ შემდეგი დოკუმენტაცია:

- \_ განმარტებითი ბარათი;
- \_ ინტერიერის სამგანზომილებიანი ვიზუალიზაცია (ე.წ. რენდერები);
- \_ მუშა ნახაზები;
- \_ სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია;
- \_ სპეციფიკაციების ნაწილი.

2.2.1 განმარტებითი ბარათი უნდა მოიცავდეს ინფორმაციას ინტერიერის დაგეგმარების ძირითადი კონცეფციის შესახებ. აქვე მითითებული უნდა იყოს სამუშაოთა განხორციელებისათვის საჭირო ნორმატიული ვადები.

2.2.2 ინტერიერის სამგანზომილებიანი ვიზუალიზაცია (ე.წ. რენდერები) უნდა დამუშავდეს ინტერიერის ყველა საჭირო რაკურსისათვის მაღალი რეზოლუციით.

**2.2.3 მუშა ნახაზები უნდა დამუშავდეს დაწვრილებით და მოიცავდეს მინიმუმ შემდეგ დოკუმენტებს:**

- \_ საგამოფენო დარბაზის ფუნქციონალური გეგმა ტიხრების, საექსპოზიციო დაფების, კონტეინერების და სხვა ინვენტარის ჩვენებით;
- \_ ექსპონატების განთავსების გეგმა (ე.წ. ექსპოზიციის გეგმა) დამკვეთის მიერ მიწოდებული ექსპონატების ჩამონათვალის საფუძველზე;
- \_ საგამოფენო დარბაზის კედლების განშლების ნახაზები მოპირკეთების ტიპების მარკირებით და მათი სტრუქტურის ჩვენებით;
- \_ საგამოფენო დარბაზის იატაკის გეგმა იატაკის ტიპების მარკირებით და მათი სტრუქტურის ჩვენებით;
- \_ საგამოფენო დარბაზის ჭერის გეგმა მოპირკეთების ტიპების მარკირებით და მათი სტრუქტურის ჩვენებით;
- \_ ტიხრების (სტაციონალური და ტრანსფორმირებადი) განთავსების გეგმა და მათი დეტალური ნახაზები;
- \_ საექსპოზიციო დაფების და კონტეინერების განთავსების გეგმა და მათი დეტალური ნახაზები;
- \_ საგამოფენო დარბაზის ელექტრო უზრუნველყოფის და განათების (საერთო და ექსპოზიციის) გეგმები;
- \_ არსებული კონსტრუქციების და მოპირკეთების დემონტაჟის გეგმა.

2.2.4 სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია შედგენილი უნდა იქნეს მუშა ნახაზებში მითითებული სამუშაოთა მოცულობების საფუძველზე. ხელფასისა და მასალების ღირებულების განსაზღვრა განხორციელდეს მოქმედ საბაზრო ფასებზე დაყრდნობით.

2.2.5 სპეციფიკაციების ნაწილი უნდა მოიცავდეს დიზაინ-პროექტით განსაზღვრული ყველა განსახორციელებელი სამუშაოს ტექნოლოგიური თანმიმდევრობისა და შესრულების მეთოდების დაწვრილებით აღწერას. აქვე აუცილებლად მითითებული უნდა იყოს გამოყენებული სამშენებლო მასალების და ნაკეთობების ხარისხობრივი მაჩვენებლები.

**შენიშვნა:**

ობიექტის სართულების გეგმების ნახაზებს შემსრულებელს მიაწვდის დამკვეთი. აღნიშნული ნახაზები წარმოადგენს საპროექტო დოკუმენტაციას და მოითხოვს გადამოწმებას შემსრულებლის მიერ ადგილზე.

**3.3.3 ტექნიკური დავალება, თუშეთის დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა ცენტრისა და ადმინისტრაციული შენობის შესაკეთებელი სამუშაოების მოცულობების უწყისის დამუშავებისა და საორიენტაციო ღირებულების განსაზღვრისათვის:**

**1. ობიექტის დახასიათება და შემსრულებლის მოვალეობანი**

- თუშეთის დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა ცენტრი და ადმინისტრაციული შენობა მდებარეობს სოფელ ომალოში. იგი შედგება ერთმანეთთან დაკავშირებული ერთ და ორ სართულიანი ფლიგელებისაგან და გააჩნია ხის ტერასა მეორე სართულის დონეზე. ხოლო მთლიანად შენობა განთავსებულია ქვაფენილით მოპირკეთებულ ხელოვნურ ბაქანზე.
- ამჟამად დაზიანებულია შენობის ცალკეული ელემენტები, კერძოდ: ტერასის ხის კონსტრუქციების დამცავი ანტისეპტიკური საფარი დაზიანებულია და მოითხოვს აღდგენას. ძლიერაა დაზიანებული ასევე აღნიშნულ ტერასაზე ასასვლელი კიბეების ხის საფეხურები. დაზიანებულია ტერასის ქვეშ განთავსებული სათავსების სახურავები და მეორე სართულის სახურავი ბუხრის საკვამურთან, რის გამოც ნალექები ჩაედინებაშენობაში. ნალექებისაგან დაზიანებულია ასევე ფასადზე განთავსებული მდფ-ს კარებები.

- გარდა ზემოთ აღნიშნული სახის ტერასის და პირველი სართულის სახურავების ფასადის კედლებთან შეერთების ადგილებში ხდება ნალექების კონცენტრაცია, რაც ანესტიანებს და აზიანებს ფასადს.

- შენობის ქვაფენილით მოპირკეთებულ ბაქანზე შეინიშნება ჯდენები რაც გამოწვეულია ამ უკანასკნელიდან ნალექების არაეფექტური გადაყვანით და მათი ჩადინებით გრუნტში;

- დაზიანებულია აგრეთვე ლითონის წყლის სამარაგო (9ტ ტევადობის) ავზის დამცავი საღებავის საფარი, როგორც შიგნიდან, ასევე გარედან.

აქედან გამომდინარე ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ ძირითად სარეაბილიტაციო ღონისძიებებს:

- \_ ხის ტერასაზე ასასვლელი გარე კიბეების ხის საფეხურების შეცვლა;

- \_ ტერასის ხის კონსტრუქციების დამცავი ანტისეპტიკური საფარის აღდგენა;

- \_ ფასადის კედლების დაცვა ნალექების კონცენტრაციისაგან, მათი ტერასასთან და I სართულის სახურავებთან შეერთების ადგილებში.

- \_ ტერასის ქვეშ განთავსებული სათავსების და მე-2 სართულის ბუხრის საკვამური მილის მიმდებარე სახურავების ჰიდროსაიზოლაციო ფენის რეაბილიტაცია.

- \_ დაზიანებული მდფ-ს კარებების შეცვლა შენობის ფასადზე;

- \_ ნალექების ჩადინებისაგან დაზიანებული შიდა მოპირკეთების რეაბილიტაცია:

- \_ სასმელი წყლის სამარაგო ავზის შიდა და გარე ზედაპირების შეღებვა დამცავი საღებავით.

- \_ შენობის ბაქანის ქვაფენილის მოპირკეთების დემონტაჟი და ხელმეორედ მოწყობა სათანადო ქანობების დაცვით, ნალექების ეფექტურად გადაყვანისათვის. ბაქანზე გასასვლელი ქვის კიბის რეაბილიტაცია.

- შემსრულებელს ევალება ადგილზე დაათვალიეროს, შეისწავლოს და აღრიცხოს შენობის დაზიანებები, დასახოს ზემოთ აღნიშნული სარეაბილიტაციო ღონისძიებების განხორციელების გზები და შეადგინოს მათ უზრუნველსაყოფად ჩასატარებელი შესაკეთებელი სამუშაოების სრული ნუსხა, რაოდენობრივი მახასიათებლების ჩვენებით. მის ვალდებულებაში შედის ასევე სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების მეთოდების და ტექნოლოგიების შერჩევა.

- ზემოთ მოყვანილ ღონისძიებათაგან განსხვავებული დაზიანებების აღმოჩენის შემთხვევაში, შემსრულებელი ვალდებულია დამკვეთთან ერთად გადაწყვიტოს ამ დაზიანებების შესაკეთებელ სამუშაოთა უწყისში შეტანის საკითხი.

- დამკვეთთან შეთანხმებული შესაკეთებელ სამუშაოთა მოცულობების უწყისის საფუძველზე შემსრულებელმა უნდა შეადგინოს სამუშაოთა საორიენტაციო ღირებულების კალკულაცია.

## **2. მოთხოვნები შემსრულებლის მიერ დასამუშავებელი დოკუმენტაციისადმი**

შემსრულებელი ვალდებულია დაამუშაოს და წარუდგინოს დამკვეთს მინიმუმ შემდეგი დოკუმენტაცია:

- \_ განმარტებითი ბარათი;

- \_ სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების მოცულობების უწყისი;

- \_ სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების ღირებულების კალკულაცია;

- \_ გრაფიკული ნაწილი.

2.1. განმარტებითი ბარათი უნდა მოიცავდეს სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების მოცულობების უწყისში მითითებული სამუშაოების ტექნოლოგიური თანამიმდევრობისა და მეთოდების დაწვრილებით აღწერას და ინორმაციას მათი განხორციელების ნორმატიული ვადის შესახებ. აქვე აუცილებლად მითითებული უნდა იყოს გამოყენებული სამშენებლო მასალების და ნაკეთობების ხარისხობრივ მაჩვენებლები.

2.2. სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების მოცულობების უწყისი დამუშავებული უნდა იქნეს ელემენტარული სამშენებლო სამუშაოების დონეზე. მათი რაოდენობრიობრივი მახასიათებლები უნდა ეყრდნობოდეს ადგილზე გაზომვებს, ხოლო გამოყენებული მასალების რაოდენობა უნდა შეესაბამებოდეს მასალათა ხარჯის მოქმედ ნორმატივებს. შენობის ქვაფენილით მოპირკეთებული ბაქანის რეაბილიტაციისათვის, მასალათა მოცულობებში ასახული უნდა იყოს დემონტაჟს დაქვემდებარებული მასალების მეორადიგამოყენება (სრული ან ნაწილობრივი). აღნიშნული მასალების გამოსაყენებლად ვარგისიანობის ხარისხობრივი და რაოდენობრივი შეფასება ევალუაშემსრულებელს.

2.3. სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების ღირებულების კალკულაცია უნდა შესრულდეს სამუშაოთა მოცულობების უწყისის საფუძველზე. ხელფასისა და მასალების ღირებულების განსაზღვრა განხორციელდეს მოქმედ საბაზრო ფასებზე დაყრდნობით. ბაქნების ქვაფენილით მოპირკეთებისათვის, მეორადი გამოყენების მასალების ღირებულებაში გათვალისწინებულ იქნას მათ დემონტაჟზე, გასუფთავებასა და საჭიროების შემთხვევაში მათ გადამუშავებაზე გაწეული ხარჯები.

2.4 გრაფიკული ნაწილი უნდა მოიცავდეს შენობის სქემატურ გეგმებს, რომლებზეც მითითებული იქნება შესასრულებელი სამუშაოების ადგილები.

#### **შენიშვნა:**

ობიექტის სართულების გეგმების ნახაზებს შემსრულებელს მიაწვდის დაკვეთი. აღნიშნული ნახაზები წარმოადგენს საპროექტო დოკუმენტაციას და მოითხოვს გადამოწმებას შემსრულებლის მიერ ადგილზე.

**3.3.4 ტექნიკური დავალება, ვაშლოვანის დაცული ტერიტორიებზე ვიზიტორთათვის განკუთვნილი 17 ერთსართულიანი „ბუნგალოს“ ტიპის შენობის შეკეთება-რეკონსტრუქციის სამუშაოთა მოცულობების უწყისის დამუშავებისა და საოერინტაციო ღირებულების განსაზღვრისათვის:**

#### **1. ობიექტის დახასიათება და შემსრულებლის მოვალეობანი**

- სარეკონსტრუქციო ობიექტები მდებარეობს ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების საზღვრებში, მათ შორის 7 ბუნგალო დედოფლისწყაროდან 80კმ მანძილზე მიჯნისყურეში, ხოლო 10 ბუნგალო დედოფლისწყაროდან 60 კმ-ზე ე.წ. სოფ. „ბუნგალოში“. შენობები ერთსართულიანია, საერთო ფართით თითოეული 32მ2 და გააჩნია მიშენებული 2 მეტრი სიგანის ხის აივნები ოთხივე ფასადის მთელ სიგრძეზე.
- ამჟამად შენობების სახურავები დაზიანებულია. გარე აივნების კონსტრუქციები მორყეულია. დაზიანებულია აგრეთვე შენობების შიდა მოპირკეთება.
- ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ ძირითად სარეკონსტრუქციო-სარეაბილიტაციო ღონისძიებებს:
  - \_ შენობების სახურავების რეაბილიტაცია;
  - \_ შენობების კედლების შიდა მოპირკეთების შეკეთება;
  - \_ შენობების აივნების რეკონსტრუქცია (იგეგმება ახალი აივნების მოწყობა ორი ფასადის მხარეს და შესასვლელი კიბის გადმოტანა წინა ფასადზე);
  - \_ შენობების ფასადების რეკონსტრუქცია (იგეგმება უკანა კარის ღიობის ნაწილობრივი ამოშენება და მის ნაცვლად ფანჯრის ღიობის მოწყობა და შენობის ფასადის ხის კონსტრუქციების რეკონსტრუქცია).
- შემსრულებელს ევალება ადგილზე დაათვალიეროს, შეისწავლოს და აღრიცხოს შენობის დაზიანებები, დასახოს ზემოთ აღნიშნული სარეაბილიტაციო-სარეკონსტრუქციო ღონისძიებების განხორციელების გზები და შეადგინოს მათ უზრუნველსაყოფად ჩასატარებელი სამშენებლო სამუშაოების სრული ნუსხა, რაოდენობრივი მახასიათებლების ჩვენებით. მის ვალდებულებაში შედის ასევე სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების მეთოდების და ტექნოლოგიების შერჩევა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა

მიექცეს დემონტაჟს დაქვემდებარებული მასალების მეორად გამოყენებას. აღნიშნული, დემონტაჟს დაქვემდებარებული მასალების გამოსაყენებლად ვარგისიანობის ხარისხობრივი და რაოდენობრივი შეფასება ასევე ევალება შემსრულებელს.

- ზემოთ მოყვანილ ღონისძიებათა განსხვავებული დაზიანებების აღმოჩენის შემთხვევაში შემსრულებელი ვალდებულია დამკვეთთან ერთად გადაწყვიტოს ამ დაზიანებების შესაკეთებელ სამუშაოთა უწყისში შეტანის საკითხი.
- დამკვეთთან შეთანხმებული შესაკეთებელ სამუშაოთა მოცულობების უწყისის საფუძველზე შემსრულებელმა უნდა შეადგინოს სამუშაოთა საორიენტაციო ღირებულების კალკულაცია.

## **2. მოთხოვნები შემსრულებლის მიერ დასამუშავებელი დოკუმენტაციისადმი**

შემსრულებელი ვალდებულია დაამუშაოს და წარუდგინოს დამკვეთს მინიმუმ შემდეგი დოკუმენტაცია:

- \_ განმარტებითი ბარათი;
- \_ სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების მოცულობების უწყისი;
- \_ სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების ღირებულების კალკულაცია;
- \_ გრაფიკული ნაწილი.

2.1 განმარტებითი ბარათი უნდა მოიცავდეს სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების მოცულობების უწყისში მითითებული სამუშაოების ტექნოლოგიური თანამიმდევრობისა და მეთოდების დაწვრილებით აღწერას და ინორმაციას მათი განხორციელების ნორმატიული ვადის შესახებ. აქვე აუცილებლად მითითებული უნდა იყოს გამოყენებული სამშენებლო მასალების და ნაკეთობების ხარისხობრივი მაჩვენებლები.

2.2 სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების მოცულობების უწყისი დამუშავებული უნდა იქნეს ელემენტარული სამშენებლო სამუშაოების დონეზე. მათი რაოდენობრიობრივი მახასიათებლები უნდა ეყრდნობოდეს ადგილზე გაზომვებს, ხოლო გამოყენებული მასალების რაოდენობა უნდა შეესაბამებოდეს მასალათა ხარჯის მოქმედ ნორმატივებს. მასალათა მოცულობებში ასახული უნდა იყოს დემონტაჟს დაქვემდებარებული მასალების მეორადი გამოყენება (სრული ან ნაწილობრივი).

2.3 სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების ღირებულების კალკულაცია უნდა შესრულდეს სამუშაოთა მოცულობების უწყისის საფუძველზე. ხელფასისა და მასალების ღირებულების განსაზღვრა განხორციელდეს მოქმედ საბაზრო ფასებზე დაყრდნობით. მეორადი გამოყენების მასალების ღირებულებაში გათვალისწინებულ იქნას მათ დემონტაჟზე, გასუფთავებასა და საჭიროების შემთხვევაში მათ გადამუშავებაზე გაწეული ხარჯები.

2.4 გრაფიკული ნაწილი უნდა მოიცავდეს შენობის სქემატურ გეგმებს, რომლებზეც მითითებული იქნება შესასრულებელი სამუშაოების ადგილები.

### **შენიშვნა:**

ობიექტის სართულების გეგმების ნახაზებს შემსრულებელს მიაწვდის დამკვეთი. აღნიშნული ნახაზები წარმოადგენს საპროექტო დოკუმენტაციას და მოითხოვს გადამოწმებას შემსრულებლის მიერ ადგილზე.

**3.3.5 ტექნიკური დავალება, ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა ცენტრისა და ადმინისტრაციული შენობის შესაკეთებელი სამუშაოების მოცულობების უწყისის დამუშავებისა და საორიენტაციო ღირებულების განსაზღვრისათვის:**

## **1. ობიექტის დახასიათება და შემსრულებლის მოვალეობანი**

- ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციისა და ვიზიტორთა ცენტრის შენობა მდებარეობს ქ. დედოფლისწყაროში ბარათაშვილის ქ. №5 და განთავსებულია ორ ორსართულიან ფლიგელში, რომლებიც დაკავშირებულია ერთმანეთთან გადასასვლელი გალერეით.

- ამჟამად შენობის პირველი სართულის გარე კედლები განიცდის გრუნტიდან საძირკვლების გავლით ინფილტრირებული სინესტის ზემოქმედებას და ამ მიზეზით მათი შიდა ზედაპირების მოპირკეთება დაზიანებულია. დაზიანებული მოპირკეთების ზოლის სიმაღლე ცვალებადია და ზოგიერთ ადგილებში 1მ-ს აღწევს იატაკიდან.

- დაზიანებულია აგრეთვე შენობის ფასადის მოპირკეთებაც.

- ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ ძირითად სარეაბილიტაციო ღონისძიებებს:

- \_ შენობის პერიმეტრის კედლების საძირკვლების ჰიდროზოლაცია მათი ინფილტრატისაგან დასაცავად;

- \_ შენობის პერიმეტრის კედლების შიდა ზედაპირების მოპირკეთების რეაბილიტაცია;

- \_ შენობის ფასადის რეაბილიტაცია.

- შემსრულებელს ევალება ადგილზე დაათვალიეროს, შეისწავლოს და აღრიცხოს შენობის დაზიანებები, დასახოს ზემოთ აღნიშნული სარეაბილიტაციო ღონისძიებების განხორციელების გზები და შეადგინოს მათ უზრუნველსაყოფად ჩასატარებელი შესაკეთებელი სამუშაოების სრული ნუსხა, რაოდენობრივი მახასიათებლების ჩვენებით. მის ვალდებულებაში შედის ასევე სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების მეთოდების და ტექნოლოგიების შერჩევა.

- ზემოთ მოყვანილ ღონისძიებათაგან განსხვავებული დაზიანებების აღმოჩენის შემთხვევაში შემსრულებელი ვალდებულია დამკვეთთან ერთად გადაწყვიტოს ამ დაზიანებების შესაკეთებელ სამუშაოთა უწყისში შეტანის საკითხი.

- დამკვეთთან შეთანხმებული შესაკეთებელ სამუშაოთა მოცულობების უწყისის საფუძველზე შემსრულებელმა უნდა შეადგინოს სამუშაოთა საორიენტაციო ღირებულების კალკულაცია.

## **2. მოთხოვნები შემსრულებლის მიერ დასამუშავებელი დოკუმენტაციისადმი**

შემსრულებელი ვალდებულია დაამუშაოს და წარუდგინოს დამკვეთს მინიმუმ შემდეგი დოკუმენტაცია:

- \_ განმარტებითი ბარათი;

- \_ სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების მოცულობების უწყისი;

- \_ სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების ღირებულების კალკულაცია;

- \_ გრაფიკული ნაწილი.

2.1 განმარტებითი ბარათი უნდა მოიცავდეს სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების მოცულობების უწყისში მითითებული სამუშაოების ტექნოლოგიური თანამიმდევრობისა და მეთოდების დაწვრილებით აღწერას და ინორმაციას მათი განხორციელების ნორმატიული ვადის შესახებ. აქვე აუცილებლად მითითებული უნდა იყოს გამოყენებული სამშენებლო მასალების და ნაკეთობების ხარისხობრივი მაჩვენებლები.

2.2 სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების მოცულობების უწყისი დამუშავებული უნდა იქნეს ელემენტარული სამშენებლო სამუშაოების დონეზე. მათი რაოდენობრიობრივი მახასიათებლები უნდა ეყრდნობოდეს ადგილზე გაზომვებს, ხოლო გამოყენებული მასალების რაოდენობა უნდა შეესაბამებოდეს მასალათა ხარჯის მოქმედ ნორმატივებს.

2.3 სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების ღირებულების კალკულაცია უნდა შესრულდეს სამუშაოთა მოცულობების უწყისის საფუძველზე. ხელფასისა და მასალების ღირებულების განსაზღვრა განხორციელდეს მოქმედ საბაზრო ფასებზე დაყრდნობით.

2.4 გრაფიკული ნაწილი უნდა მოიცავდეს შენობის სქემატურ გეგმებს, რომლებზეც მითითებული იქნება შესასრულებელი სამუშაოების ადგილები.

**3.3.6 ტექნიკური დავალება, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის №7 ეკო-საგანმანათლებლო ბილიკის ინფრასტრუქტურის განახლების დასაგეგმარებლად (წარმოდგენილი უნდა იყოს რენდერის სახით):**

**1. დასაგეგმარებელი ობიექტის დახასიათება**

• ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის №7 ეკო-საგანმანათლებლო ბილიკი სათავეს იღებს ამავე პარკის ადმინისტრაციული შენობის ეზოდან, რომელიც მდებარეობს ქ. ბორჯომში მესხეთის ქ. №23. ბილიკი წრიულია და მისი მთლიანი სიგრძე შეადგენს დაახლოებით 3კმ-ს. დასაგეგმარებელი ინფრასტრუქტურა მოიცავს შემდეგ ძირითად ობიექტებს:

- \_ ეკო-საგანმანათლებლო საფეხმავლო ბილიკი;
- \_ საპიკნიკე ადგილი;
- \_ ღია ამფითეატრი;
- \_ პანორამული გადასახედი პლატფორმა ქალაქ ბორჯომზე.

ინფრასტრუქტურის ობიექტების აღწერილობა იხილეთ ქვემოთ:

**1.1. ეკო-საგანმანათლებლო საფეხმავლო ბილიკი**

• შემსრულებელს ევალება დაამუშაოს არსებული საფეხმავლო ბილიკის განახლების საპროექტო დოკუმენტაცია. საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი დასაბუთებით, შემსრულებელს შეუძლია შეცვალოს ბილიკის მიმართულება და განთავსების ადგილი გარკვეულ მონაკვეთებზე. ცვლილება გამოწვეული შეიძლება იყოს ბილიკზე ვიზიტორთა გადაადგილების გაადვილების ან მარშრუტის ინფორმაციულ-სანახაობრივი ღირებულების ამაღლების მიზნით.

• ბილიკი გრუნტის საფარიანია. იგი არ უნდა იყოს რთულად გასავლელი, ამისათვის საფარის ზედაპირი მაქსიმალურად უნდა მოსწორდეს, გაიწმინდოს ქვებისაგან და მცენარეული საფარისაგან. ქანობიან მონაკვეთებზე მოეწყოს კიბეები. სახიფათო მონაკვეთები აღიჭურვოს უსაფრთხოების მოაჯირებით, სიმაღლით არანაკლებ 1მ. ბილიკის საფარის დასაცავად ბუნებრივი წყალშემკრები ხეების გადაკვეთაზე მოეწყოს მცირე ზომის მარტივი გადასასვლელი ბოგირები და ხიდები. ბილიკი მიბმული იქნეს გლობალურ კოორდინატთა სისტემასთან.

• ბილიკის გასწვრივ უნდა დაგეგმარდეს საინფორმაციო დაფები და მიმართულების მაჩვენებელი ისრები საკვანძო წერტილებამდე მანძილების მითითებით. საინფორმაციო დაფების და მაჩვენებლების რაოდენობას და განთავსების ზუსტ ადგილებს განსაზღვრავს შემსრულებელი დაგეგმარების პროცესში. აღნიშნული ობიექტები მიბმული უნდა იქნეს გლობალურ კოორდინატთა სისტემასთან.

• ბილიკთან საჭიროა დაგეგმარდეს ასევე დასასვენებელი სკამები და მარტივი ტიპის თავშესაფრები ვიზიტორთათვის. მათთვის გამოყენებული უნდა იყოს ბუნებრივი მასალები (ხის მორები, ძელები, ქვის ლოდები). მათ რაოდენობას და განთავსების ზუსტ ადგილებს ასევე განსაზღვრავს შემსრულებელი დაგეგმარების პროცესში. აღნიშნული ობიექტები მიბმული უნდა იქნეს გლობალურ კოორდინატთა სისტემასთან.

• უნდა განხორცილდეს ბილიკის საწყის წერტილში, ვიზიტორთა ცენტრის ეზოში განთავსებული საჩრდილობელი ფარდულის და სტილიზებული ჭიშკრის განახლება. სკამების გარდა ფარდულში განთავსებული უნდა იყოს სპეციალური საინფორმაციო დაფა მარშრუტის ზუსტი რუქით და ბილიკზე ვიზიტორთა ქცევის წესებით.

## 1.2 საპიკნიკე ადგილი

- შემსრულებელს ევალება შეარჩიოს საპიკნიკე ადგილის ყველაზე ოპტიმალური მდებარეობა, რომელიც უზრუნველყოფს მინიმალურ ზემოქმედებას ბუნებაზე სამშენებლო სამუშაოების წარმოების დროს და ვიზიტორთა მაქსიმალურ კომფორტს.
- საპიკნიკე ადგილი უნდა წარმოადგენდეს ფარდულის ტიპის, გადახურულ ნაგებობას. ფარდულში უნდა განთავსდეს სასადილო მაგიდები და სკამები, რომლებიც უზრუნველყოფენ მინიმუმ 10 ვიზიტორის ერთდროულად მიღებას. საპიკნიკე ადგილი უნდა აღჭურვოს სანაგვე ურნებით და სტაციონალური ან გადასატანი საცეცხლე ქურებით (ე.წ. “ბარ-ბე-ქიუ”). ამის გარდა საპიკნიკე ადგილის მიმდებარედ საჭიროა მოეწყოს ასევე ღია კოცონის დასანთები ადგილები. ფარდულში დაგეგმარდეს მცირე ზომის საინფორმაციო დაფა ვიზიტორთა ქცევის წესებით.
- საპიკნიკე ადგილთან საჭიროა განთავსდეს ბიო ტუალეტი 1 ადგილზე, რომელიც არ საჭიროებს წყლით უზრუნველყოფას.
- სათანადო დასაბუთების შემთხვევაში შესაძლებელია დაიგეგმოს ერთი ან რამოდენიმე საპიკნიკე ადგილი. მათი რაოდენობის განსაღვრა ევალება ასევე შემსრულებელს.

## 1.4 ღია ამფითეატრი

- შემსრულებელს ევალება შეარჩიოს განთავსების ოპტიმალური ადგილი და დააგეგმაროს ღია ამფითეატრი ეკო-საგანმანათლებლო ლექციებისათვის ბილიკის მიმდებარედ. ამფითეატრი უნდა იძლეოდეს ერთდროულად 30 მსმენელის განთავსების საშუალებას.

## 1.5 პანორამული გადასახედი პლატფორმა ქალაქ ბორჯომზე

- შემსრულებელს ევალება შეარჩიოს განთავსების ოპტიმალური ადგილი და დააგეგმაროს პანორამული გადასახედი პლატფორმა ქალაქ ბორჯომზე. ადგილის შერჩევისას ყურადღება მიექცეს პანორამის ღირსშესანიშნაობას და სამშენებლო სამუშაოების წარმოების დროს ბუნებაზე ზემოქმედების მინიმალურ რისკს.
- გადასახედი პლატფორმა უნდა იყოს კონსოლური და აღჭურვილი უნდა იყოს უსაფრთხოების მოაჯირით სიმაღლით არანაკლებ 1,1მ. იგი უნდა იძლეოდეს ერთდროულად მინიმუმ 10 ვიზიტორის მომსახურების შესაძლებლობას. პლატფორმა უნდა იყოს კონსტრუქციულად მდგრადი, საიმედო და გაანგარიშებული ნორმებით გათვალისწინებულ დატვირთვებზე (მათ შორის სეისმური დატვირთვები).
- გადასახედის იერსახე მაქსიმალურად უნდა ერწყმოდეს ლანდშაფტს.

## 2. გეგმარების ძირითადი კრიტერიუმები

ტურისტული ინფრასტრუქტურის გეგმარებისას შემსრულებელს ევალება იხელმძღვანელოს შემდეგი ძირითადი კრიტერიუმებით:

- \_ უზრუნველყოფილ უნდა იქნეს მინიმალური ზემოქმედება ბუნებაზე;
- \_ ნაგებობების მაქსიმალური შეხამება ლანდშაფტთან;
- \_ გამოყენებული მასალები და ტექნოლოგიები უნდა უზრუნველყოფდეს ნაგებობათა ხანგამძლეობას და ექსპლოატაციის მაქსიმალურ ვადას კაპიტალურ შეკეთებამდე;
- \_ გამოყენებული მასალები და ტექნოლოგიები უნდა უზრუნველყოფდეს ნაგებობების მინიმალურ საექსპლოატაციო დანახარჯებს (მოვლა, დასუფთავება, მიმდინარე შეკეთება და სხვა).

## 3. მოთხოვნები საპროექტოდო კუმენტაციისადმი

- შემსრულებელს ევალება ინფრასტრუქტურის გეგმარებისას დაამუშავოს სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია. მის მოვალეობაში შედის აგრეთვე შეასრულოს საჭირო საძიებო



სამუშაოები (ტერიტორიის ტოპო-გეოდეზიური აგეგმვა, ტერიტორიის გეოლოგიური კვლევა). საპროექტო დოკუმენტაციაში დამუშავებულ უნდა იქნას ყველა საჭირო ნაწილი (არქიტექტურული, კონსტრუქციული, ელექტრული და სხვა მოქმედი პროექტირების ნორმების შესაბამისად), რომლებიც უზრუნველყოფენ ობიექტის სამშენებლო სამუშაოების ტენდერის ჩატარებას.

- რეკონსტრუქციას დაქვემდებარებული ობიექტებისათვის პროექტში მითითებული უნდა იყოს სადემონტაჟო ობიექტების ჩამონათვალი და მათი რაოდენობრივი მახასიათებლები და უნდა შედგეს შესაბამისი დეფექტური აქტები შემდგომში მათ ჩამოსაწერად.
- საპროექტო დოკუმენტაცია აუცილებლად უნდა მოიცავდეს მშენებლობის ორგანიზაციის პროექტს, რომელშიც სამუშაოთა შესრულების მეთოდების და წესების გარდა მოცემული იქნება მათი შესრულების კალენდარული გრაფიკი. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი ასევე უნდა მოიცავდეს აუცილებელ მითითებებს მშენებლობისას საჭირო ბუნების დაცვითი ღონისძიებების შესახებ.
- საპროექტო დოკუმენტაცია აგრეთვე აუცილებლად უნდა მოიცავდეს სპეციალურ ე.წ. სპეციფიკაციების ნაწილს, რომელშიც მოცემული უნდა იყოს სამშენებლო სამუშაოთა წარმოების მეთოდების და ტექნოლოგიების დეტალური, თანმიმდევრობითი აღწერა და გამოყენებული სამშენებლო მასალების ხარისხობრივი მაჩვენებლები.
- შემსრულებელი ვალდებულია საკონკურსო წინადადების წარდგენამდე ადგილზე გაეცნოს დასაგეგმარებელ ობიექტს, დაათვალიეროს ტერიტორია და ამის შემდეგ შეიმუშავოს გეგმარების ძირითადი მიმართულებები.

### **3.3.7 ტექნიკური დავალება, ლაგოდების დაცული ტერიტორიების საველე ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის დასაგეგმარებლად (წარმოდგენილი უნდა იყოს რენდერის სახით):**

#### **1. დასაგეგმარებელი ობიექტის დახასიათება**

- წინამდებარე დავალება ითვალისწინებს ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის დაგეგმვას ლაგოდების დაცულ ტერიტორიაზე, ადმინისტრაციის მიმდებარედ და მდინარე შრომის ხევის გასწვრივ. დასაგეგმარებელი ინფრასტრუქტურა მოიცავს შემდეგ ძირითად ობიექტებს:
  - \_ ეკოტურისტული ბილიკი ადმინისტრაციიდან მდინარე შრომის ხევის ჩანჩქერამდე;
  - \_ საპიკნიკე ადგილი ადმინისტრაციის მიმდებარე ტერიტორიაზე;
  - \_ საზოგადოებრივი საპირფარეშოები ნაკრძალის ადმინისტრაციის მიმდებარე ტერიტორიაზე;
  - \_ ტურისტული თავშესაფარი ადგილი ადმინისტრაციის მიმდებარე ტერიტორიაზე;
  - \_ ავტოსადგომი ადმინისტრაციის მიმდებარე ტერიტორიაზე;
  - \_ კიდული ღამის თავშესაფრები ვიზიტორთათვის;
  - \_ არსებული მეტეო სადგურის შენობის რეკონსტრუქცია ტურისტულ თავშესაფრად.

#### **ინფრასტრუქტურის ობიექტების აღწერილობა იხილეთ ქვემოთ:**

##### **1.1 ეკო-ტურისტული ბილიკი ადმინისტრაციიდან მდინარე შრომის ხევის ჩანჩქერამდე**

- შემსრულებელს ევალება შეარჩიოს ეკოტურისტული საფეხმავლო ბილიკის ყველაზე ოპტიმალური მიმართულება, რომელიც უზრუნველყოფს ვიზიტორთა უსაფრთხო გადაადგილებას ლაგოდების დაცული ტერიტორიების ამ მონაკვეთის ღირსშესანიშნავ ადგილებში და ამავე დროს მინიმალურ ზემოქმედებას ბუნებაზე სამშენებლო სამუშაოების წარმოების დროს.

- დასაგეგმარებელი ბილიკის სიგრძე დაახლოებით 7კმ-ია. ბილიკი უნდა დაგეგმარდეს გრუნტის საფარით. იგი არ უნდა იყოს რთულად გასავლელი, ამისათვის საფარის ზედაპირი მაქსიმალურად უნდა მოსწორდეს, გაიწმინდოს ქვებისაგან და მცენარეული საფარისაგან. ქანობიან მონაკვეთებზე მოეწყოს კიბეები. სახიფათო მონაკვეთები აღიჭურვოს უსაფრთხოების მოაჯირებით, სიმაღლით არანაკლებ 1მ. ბილიკის საფარის დასაცავად ბუნებრივი წყალშემკრები ხეების გადაკვეთაზე მოეწყოს მცირე ზომის მარტივი გადასასვლელი ბოგირები და ხიდები.

- მდინარე შრომის ხევის გადაკვეთის ადგილებში მოეწყოს საფეხმავლო ხიდები.
- რეკომენდირებულია აგრეთვე მარშრუტზე, სათანადო ადგილებში, დაგეგმარდეს ხეებზე კიდული ბილიკები, რომლებიც მისცემენ ვიზიტორებს ლანდშაფტის ზედა იარუსიდან დათვალიერების საშუალებას და უფრო საინტერესოს გახდიან ბილიკზე მოგზაურობას.
- ბილიკის გასწვრივ უნდა დაგეგმარდეს საინფორმაციო დაფები და მიმართულების მაჩვენებელი ისრები ეკოტურის საბოლოო წერტილამდე (ჩანჩქერი) დარჩენილი მანძილის მითითებით.
- ბილიკის გასწვრივ საჭიროა დაგეგმარდეს ასევე დასასვენებელი სკამები და მარტივი ტიპის თავშესაფრები ვიზიტორთათვის, რომელთათვისაც გამოყენებული იქნება ბუნებრივი მასალები (ხისმორები, ძელები, ქვის ლოდები). ჩანჩქერთან აუცილებელია ასევე დაგეგმარდეს შესასვენებელი ინფრასტრუქტურა ვიზიტორთათვის, რომელიც ორიენტირებული იქნება ჩანჩქერის ხედზე.
- ბილიკი და მის გასწვრივ განთავსებული ობიექტები მიზნული უნდა იქნეს გლობალურ კოორდინატთა სისტემასთან.

### 1.2 საპიკნიკე ადგილი ადმინისტრაციის ეზოს მიმდებარე ტერიტორიაზე

- შემსრულებელს ევალება შეარჩიოს საპიკნიკე ადგილის ყველაზე ოპტიმალური მდებარეობა, რომელიც უზრუნველყოფს მინიმალურ ზემოქმედებას ბუნებაზე სამშენებლო სამუშაოების წარმოების დროს და ვიზიტორთა მაქსიმალურ კომფორტს.
- საპიკნიკე ადგილი უნდა წარმოადგენდეს ფარდულის ტიპის, გადახურულ ნაგებობას. ფარდულში უნდა განთავსდეს სტაციონალური სასადილო მაგიდები და სკამები, რომლებიც უზრუნველყოფენ 50 ვიზიტორის ერთდროულად მიღებას. საპიკნიკე ადგილი უნდა აღიჭურვოს სანაგვე ურნებით და სტაციონალური ან გადასატანი საცეცხლე ქურებით (ე.წ. “ზარ-ბე-ქიუ”). ამასგარდა საპიკნიკე ადგილის მიმდებარედ საჭიროა მოეწყოს ასევე ღია კოცონის დასანთები ადგილები. ობიექტი უნდა განთავსდეს ისეთ ადგილას, სადაც შესაძლებელი იქნება მისი სასმელი წყლით და ელექტროენერგიით უზრუნველყოფა. ფარდულში დაგეგმარდეს მცირე ზომის საინფორმაციო დაფა ვიზიტორთა ქცევის წესებით.

### 1.3. საზოგადოებრივი საპირფარეოები დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის ეზოს მიმდებარე ტერიტორიაზე

- შემსრულებელს ევალება დააგეგმაროს ორი საზოგადოებრივი საპირფარეო, რომელთაგან ერთ-ერთი განთავსდება საპიკნიკე ადგილის მიმდებარედ, ხოლო მეორე ტურისტულ თავშესაფართან თითოეული საპირფარეო გათვლილი უნდა იყოს 4 ადგილზე (2 ქალთა, 2 მამაკაცთა). გარდა ამისა, ტურისტულ თავსესაფართან განთავსებულ საპირფარეოს უნდა ჰქონდეს სპეციალური მინაშენი, სადაც განთავსდება 2 საზაფხულო საშხაპე (შესაბამისად ქალთა და მამაკაცთა). საპირფარეოები უზრუნველყოფილი უნდა იყოს მუდმივი წყალმომარაგებით. ამ მიზნით საჭიროების შემთხვევაში გათვალისწინებულ იქნას წყლის სამარაგო ავზების დაგეგმარება. ჩამდინარე წყლები მოიკრიბოს და მიუერთდეს ადმინისტრაციის

ტერიტორიაზე არსებულ საკანალიზაციო ქსელს ან გაიწმინდოს ინვენტარული გამწმენდი ნაგებობის "ბიოტალი" მეშვეობით.

1.4. ტურისტული თავშესაფარი ადგილის მოწყობა ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის ეზოს მიმდებარე ტერიტორიაზე

- შემსრულებელი ვალდებულია შეარჩიოს შესაბამისი ადგილი და დააგეგმაროს ტურისტული თავშესაფრის ტერიტორია მინიმუმ 20 ადგილზე. თავშესაფარი უნდა იყოს ბეტონის მილისებული ფორმის და მასში შესაძლებელი უნდა იქნეს ორი ვიზიტორის განთავსება. ტერიტორია უზრუნველყოფილ უნდა იქნეს სასმელი წყლით და საპიკნიკე ადგილით, რომელიც უნდა წარმოადგენდეს ფარდულის ტიპის, გადახურულ ნაგებობას. ფარდულში უნდა განთავსდეს სტაციონალური სასადილო მაგიდები და სკამები, რომლებიც უზრუნველყოფენ 30 ვიზიტორის ერთდროულად მიღებას. ტერიტორია აღიჭურვოს სანაგვე ურნებით. თავშესაფრის ცენტრალურ ნაწილში დაგეგმარდეს ღია საცეცხლე ადგილი.

1.5. ავტოსადგომის მოწყობა ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის ეზოში

- შემსრულებელს ევალება ადმინისტრაციის ტერიტორიაზე, შესასვლელთან დააგეგმაროს ავტოსადგომი. ავტოსადგომი უნდა იყოს კეთილმოწყობილი საფარით. საფარის მასალის შერჩევასა პრიორიტეტი მიენიჭოს ბუნებრივ, ეკოლოგიურად სუფთა მასალებს. რეკომენდირებულია ბუნებრივი ქვის ქვაფენილის და ბორდიურების მოწყობა. ავტოსადგომის შესასვლელი აღიჭურვოს ელექტრო-მექანიკური ხერგილით. დაგეგმარდეს ავტოსადგომის განათების ქსელი.

1.6 კიდული ღამის თავშესაფრები ვიზიტორთათვის

- შემსრულებელს ევალება დააგეგმაროს ხეზე კიდული, მსუბუქი თავშესაფრების ტიპური საპროექტო დოკუმენტაცია. თავშესაფრები უნდა იყოს კარვის ტიპის, რომელსაც ექნება ლითონის კარკასი და წყალგაუმტარი ქსოვილის გარსი. საჭიროა დაგეგმარდეს ორი ტიპის კიდული თავშესაფარი, შესაბამისად 1 და 2 ვიზიტორისათვის.

1.7. არსებული მეტეოსადგურის შენობის რეკონსტრუქცია ტურისტულ თავშესაფრად

- შემსრულებელს ევალება დაამუშავოს მეტეოსადგურის შენობის რეკონსტრუქციის პროექტი. მეტეოსადგური მდებარეობს ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა ცენტრიდან 13 კილომეტრის მოშორებით ზღვის დონიდან 1900 მეტრ სიმაღლეზე. მასთან კავშირი ხორციელდება მხოლოდ საცხენოსნო ბილიკით. არსებული შენობის საერთო ფართი შეადგენს 40მ<sup>2</sup>. გამიზნულია მისი გამოყენება ვიზიტორების ღამის თავშესაფრად. რეკონსტრუქციას უნდა დაექვემდებაროს როგორც შენობის ინტერიერი, ასევე ფასადი. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს შენობის ფასადის ორგანულ შერწყმას ლადშაფტთან.

## 2. გეგმარების ძირითადი კრიტერიუმები

ტურისტული ინფრასტრუქტურის გეგმარებისას შემსრულებელს ევალება იხელმძღვანელოს შემდეგი ძირითადი კრიტერიუმებით:

- \_ უზრუნველყოფილ უნდა იქნეს მინიმალური ზემოქმედება ბუნებაზე;
- \_ ნაგებობების მაქსიმალური შეხამება ლანდშაფტთან;
- \_ გამოყენებული მასალები და ტექნოლოგიები უნდა უზრუნველყოფდეს ნაგებობათა ხანგამძლეობას და ექსპლოატაციის მაქსიმალურ ვადას კაპიტალურ შეკეთებამდე;
- \_ გამოყენებული მასალები და ტექნოლოგიები უნდა უზრუნველყოფდეს ნაგებობების მინიმალურ საექსპლოატაციო დანახარჯებს (მოვლა, დასუფთავება, მიმდინარე შეკეთება და სხვა).

## 3. მოთხოვნები საპროექტო დოკუმენტაციისადმი

- შემსრულებელს ევალება ინფრასტრუქტურის გეგმარებისას დაამუშავოს სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია. მის მოვალეობაში შედის აგრეთვე შეასრულოს საჭირო სამუშაოები (ტერიტორიის ტოპო გეოდეზიური აგეგმვა, ტერიტორიის გეოლოგიური კვლევა). საპროექტო დოკუმენტაციაში დამუშავებულ უნდა იქნას ყველა საჭირო ნაწილი (არქიტექტურული, კონსტრუქციული, ელექტრული და სხვა მოქმედი პროექტირების ნორმების შესაბამისად), რომლებიც უზრუნველყოფენ ობიექტის სამშენებლო სამუშაოების ტენდერის ჩატარებას.

- საპროექტო დოკუმენტაცია აუცილებლად უნდა მოიცავდეს მშენებლობის ორგანიზაციის პროექტს, რომელშიც სამუშაოთა შესრულების მეთოდების და წესების გარდა მოცემული იქნება მათი შესრულების კალენდარული გრაფიკი. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი ასევე უნდა მოიცავდეს აუცილებელ მითითებებს მშენებლობისას საჭირო ბუნების დაცვითი ღონისძიებების შესახებ.

- საპროექტო დოკუმენტაცია აგრეთვე აუცილებლად უნდა მოიცავდეს სპეციალურ ე.წ. სპეციფიკაციების ნაწილს, რომელშიც მოცემული უნდა იყოს სამშენებლო სამუშაოთა წარმოების მეთოდების და ტექნოლოგიების დეტალური, თანმიმდევრობითი აღწერა და გამოყენებული სამშენებლო მასალების ხარისხობრივი მაჩვენებლები.

შემსრულებელი ვალდებულია საკონკურსო წინადადების წარდგენამდე ადგილზე გაეცნოს დასაგეგმარებელ ობიექტს, დაათვალიეროს ტერიტორია და ამის შემდეგ შეიმუშავოს გეგმარების ძირითადი მიმარ

### **3.3.8 ტექნიკური დავალება, ტახტი-ტეფას ბუნების ძეგლის ინფრასტრუქტურის დასაგეგმარებლად (წარმოდგენილი უნდა იყოს რენდერის სახით):**

#### **1. დასაგეგმარებელი ობიექტის დახასიათება**

- ტახტი-ტეფას ბუნების ძეგლი მდებარეობს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, დედოფლისწყაროდან 55 კმ მოშორებით. წინამდებარე დავალება ითვალისწინებს ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის დაგეგმვას აღნიშნული ბუნების ძეგლის მიმდებარედ. დასაგეგმარებელი ინფრასტრუქტურა მოიცავს შემდეგ ძირითად ობიექტებს:

- \_ დასათვალიერებელი პლატფორმა ბუნების ძეგლის მიმდებარედ;
- \_ ავტო სადგომი;
- \_ საფეხმავლო ბილიკი ავტოსადგომიდან დასათვალიერებელ პლატფორმამდე და ბუნების ძეგლის სხვა ღირსშესანიშნაობებამდე;
- \_ საინფორმაციო დაფები და მაჩვენებლები საავტომობილო გზასა და ბუნების ძეგლის ტერიტორიაზე.
- \_ დეკორატიული ღობე ბუნების ძეგლის გარშემო.

#### **ინფრასტრუქტურის ობიექტების აღწერილობა იხილეთ ქვემოთ:**

##### **1.1 დასათვალიერებელი პლატფორმა ბუნების ძეგლის მიმდებარედ**

- შემსრულებელს ევალება შეარჩიოს დასათვალიერებელი პლატფორმის ყველაზე ოპტიმალური ადგილი, რომელიც უზრუნველყოფს ბუნების ძეგლზე საუკეთესო ხედებს და ასევე მინიმალურ ზემოქმედებას ბუნებაზე სამშენებლო სამუშაოების წარმოების დროს.

- დასათვალიერებელი პლატფორმა უნდა იყოს ამფითეატრის ტიპის, აღჭურვილი უნდა იყოს სკამებით და იძლეოდეს ერთდროულად მინიმუმ 20 ვიზიტორის მომსახურების შესაძლებლობას. ნაგებობას უნდა ჰქონდეს საჩრდილობელი, რომელიც უზრუნველყოფს ვიზიტორთა კომფორტულ მომსახურებას მზიან ამინდში. პლატფორმაზე უნდა განთავსდეს საჭირო რაოდენობის სანაგვე ურნები.

## 1.2 ავტო სადგომი

- შემსრულებელს ევალება შეარჩიოს ყველაზე ოპტიმალური ადგილი ავტოსადგომისათვის, რომელიც უზრუნველყოფს მინიმალურ ზემოქმედებას ბუნებაზე სამშენებლო სამუშაოების წარმოების დროს. ავტო სადგომი უნდა იყოს მარტივი ტიპის, გრუნტის საფარით და იძლეოდეს მასზე ერთდროულად მინიმუმ 10 მსუბუქი ავტომანქანის განთავსების საშუალებას.

## 1.3 საფეხმავლო ბილიკი ავტოსადგომიდან დასათვალიერებელ პლატფორმამდე და ბუნების ძეგლის სხვა ღირსშესანიშნაობებამდე

- შემსრულებელს ევალება საფეხმავლო ბილიკების ოპტიმალური ქსელის დაგეგმვა, რომლებიც უზრუნველყოფენ ვიზიტორთა გადაადგილებას ავტოსადგომიდან დასათვალიერებელ პლატფორმამდე და ბუნების ძეგლის სხვა ღირსშესანიშნავ ადგილებამდე. ბილიკი უნდა იყოს მინიმუმ 1,2მ-ის სიგანის, გრუნტის საფარით. ბილიკი უნდა იძლეოდეს ვიზიტორთა თავისუფალი და უსაფრთხო გადაადგილების საშუალებას. მისი ქანობი სასურველია არ აღემატებოდეს 12%.

## 1.4 საინფორმაციო დაფები და მაჩვენებლები ბუნების ძეგლის ტერიტორიაზე

- შემსრულებელს ევალება შეარჩიოს შესაბამისი ადგილები და განათავსოს საინფორმაციო დაფები და მაჩვენებლები საავტომობილო გზაზე დედოფლისწყაროდან ბუნების ძეგლამდე, ავტოსადგომთან, ბილიკებზე და დასათვალიერებელ პლატფორმასთან. ზემოთაღნიშნული ობიექტები მიზნული უნდა იქნეს გლობალურ კოორდინატთა ბადესთან.

- საფეხმავლო ბილიკის გასწვრივ განლაგებული მაჩვენებლები უნდა მიაწოდებდეს ვიზიტორთა გადაადგილების მიმართულებებს ბუნების ძეგლის ღირსშესანიშნაობებისაკენ.

## 1.5. დეკორატიული ღობე ბუნების ძეგლის გარშემო

- შემსრულებელი ვალდებულია დააგეგმოს დეკორატიული ღობე ბუნების ძეგლის მთელ პერიმეტრზე ან მის ნაწილზე. ბუნების ძეგლის შესასვლელთან, ავტოსადგომის მიმდებარედ ღობეში უნდა განთავსდეს სტილიზებული ჭიშკარი. აქვე მოეწყოს ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ხის ლოგო. ღობის და სტილიზებული ჭიშკრის დიზაინი მაქსიმალურად უნდა ერწყმოდეს ლანდშაფტს.

## 2. გეგმარების ძირითადი კრიტერიუმები

ბუნების ძეგლის ინფრასტრუქტურის გეგმარებისას შემსრულებელს ევალება იხელმძღვანელოს შემდეგი ძირითადი კრიტერიუმებით:

– უზრუნველყოფილ უნდა იქნეს მინიმალური ზემოქმედება ბუნებაზე;

– ნაგებობების მაქსიმალური შეხამება ლანდშაფტთან;

– გამოყენებული მასალები და ტექნოლოგიები უნდა უზრუნველყოფდეს ნაგებობათა ხანგამძლეობას და ექსპლოატაციის მაქსიმალურ ვადას კაპიტალურ შეკეთებამდე;

– გამოყენებული მასალები და ტექნოლოგიები უნდა უზრუნველყოფდეს ნაგებობების მინიმალურ საექსპლოატაციო დანახარჯებს (მოვლა, დასუფთავება, მიმდინარე შეკეთება და სხვა).

## 3. მოთხოვნები საპროექტო დოკუმენტაციისადმი

- შემსრულებელს ევალება ბუნების ძეგლის ინფრასტრუქტურის გეგმარებისას დაამუშავოს სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია. მის მოვალეობაში შედის აგრეთვე შეასრულოს საჭირო საძიებო სამუშაოები (ტერიტორიის ტოპო გეოდეზიური აგეგმვა, ტერიტორიის გეოლოგიურიკვლევა). საპროექტო დოკუმენტაციაში დამუშავებულ უნდა აიქნას ყველა საჭირო ნაწილი (არქიტექტურული, კონსტრუქციული და სხვა, მოქმედი პროექტირების ნორმების შესაბამისად), რომლებიც უზრუნველყოფენ ობიექტის სამშენებლო სამუშაოების ტენდერის ჩატარებას.

- საპროექტო დოკუმენტაცია აუცილებლად უნდა მოიცავდეს მშენებლობის ორგანიზაციის პროექტს, რომელშიც სამუშაოთა შესრულების მეთოდების და წესების გარდა მოცემული იქნება მათი შესრულების კალენდარული გრაფიკი. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი ასევე უნდა მოიცავდეს აუცილებელ მითითებებს მშენებლობისას საჭირო ბუნების დაცვითი ღონისძიებების შესახებ.
- საპროექტო დოკუმენტაცია აგრეთვე აუცილებლად უნდა მოიცავდეს სპეციალურ ე.წ. სპეციფიკაციების ნაწილს, რომელშიც მოცემული უნდა იყოს სამშენებლო სამუშაოთა წარმოების მეთოდების და ტექნოლოგიების დეტალური, თანმიმდევრობითი აღწერა და გამოყენებული სამშენებლო მასალების ხარისხობრივი მაჩვენებლები.

**3.3.9 ტექნიკური დავალება, უსახელო მთის ინფრასტრუქტურის დასაგეგმარებლად (წარმოდგენილი უნდა იყოს რენდერის სახით):**

**1. დასაგეგმარებელი ობიექტის დახასიათება**

- უსახელოს მთა მდებარეობს ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების საზღვრებში, დედოფლისწყაროდან 65-კმ-ის მოშორებით. წინამდებარე დავალება ითვალისწინებს ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის დაგეგმვას აღნიშნული მთის მიმდებარედ. დასაგეგმარებელი ინფრასტრუქტურა მოიცავს შემდეგ ძირითად ობიექტებს:

- \_ პანორამული გადასახედი პლატფორმა;
- \_ საინფორმაციო დაფა პანორამული გადასახედის მიმდებარედ.

**ინფრასტრუქტურის ობიექტების აღწერილობა იხილეთ ქვემოთ:**

**1.1 პანორამული გადასახედი პლატფორმა**

- შემსრულებელს ევალება შეარჩიოს პანორამული გადასახედი პლატფორმის ყველაზე ოპტიმალური ადგილი, რომელიც უზრუნველყოფს უსახელოს მთაზე საუკეთესო ხედს და ასევე მინიმალურ ზემოქმედებას ბუნებაზე სამშენებლო სამუშაოების წარმოების დროს.

- გადასახედი პლატფორმა უნდა იყოს კონსოლური, ნაშვერით არაუმეტეს 2მ-ისა და აღჭურვილი უნდა იყოს უსაფრთხოების მოაჯირით სიმაღლით არანაკლებ 1,1მ. იგი უნდა იძლეოდეს ერთდროულად მინიმუმ 12 ვიზიტორის მომსახურების შესაძლებლობას. პლატფორმა უნდა იყოს კონსტრუქციულად მდგრადი, საიმედო და გაანგარიშებული უნდა იყოს ნორმებით გათვალისწინებულ დატვირთვებზე (მათ შორის სეისმური დატვირთვები).

გადასახედის იერსახე მაქსიმალურად უნდა ერწყმოდეს ლანდშაფტს.

**1.2 საინფორმაციო დაფა**

- შემსრულებელს ევალება შეარჩიოს შესაბამისი ადგილი და განათავსოს საინფორმაციო დაფა გადასახედი პლატფორმის მიმდებარედ.

**2. გეგმარების ძირითადი კრიტერიუმები**

- ინფრასტრუქტურის გეგმარებისას შემსრულებელს ევალება იხელმძღვანელოს შემდეგი ძირითადი კრიტერიუმებით:

- \_ უზრუნველყოფილ უნდა იქნეს მინიმალური ზემოქმედება ბუნებაზე;
- \_ ნაგებობების მაქსიმალური შეხამება ლანდშაფტთან;
- \_ გამოყენებული მასალები და ტექნოლოგიები უნდა უზრუნველყოფდეს ნაგებობათა ხანგამძლეობას და ექსპლოატაციის მაქსიმალურ ვადას კაპიტალურ შეკეთებამდე;

\_ გამოყენებული მასალები და ტექნოლოგიები უნდა უზრუნველყოფდეს ნაგებობების მინიმალურ საექსპლოატაციო დანახარჯებს (მოვლა, დასუფთავება, მიმდინარეშეკეთება და სხვა).

### 3. მოთხოვნები საპროექტო დოკუმენტაციისადმი

- შემსრულებელს ევალება ინფრასტრუქტურის გეგმარებისას დაამუშაოს სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია. მის მოვალეობაში შედის აგრეთვე შეასრულოს საჭირო სამუშაოები (ტერიტორიის ტოპო გეოდეზიური აგეგმვა, ტერიტორიის გეოლოგიური კვლევა). საპროექტო დოკუმენტაციაში დამუშავებულ უნდა იქნას ყველა საჭირო ნაწილი (არქიტექტურული, კონსტრუქციული და სხვა მოქმედი პროექტირების ნორმების შესაბამისად), რომლებიც უზრუნველყოფენ ობიექტის სამშენებლო სამუშაოების ტენდერის ჩატარებას.

- საპროექტო დოკუმენტაცია აუცილებლად უნდა მოიცავდეს მშენებლობის ორგანიზაციის პროექტს, რომელშიც სამუშაოთა შესრულების მეთოდების და წესების გარდა მოცემული იქნება მათი შესრულების კალენდარული გრაფიკი. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი ასევე უნდა მოიცავდეს აუცილებელ მითითებებს მშენებლობისას საჭირო ბუნების დაცვითი ღონისძიებების შესახებ.

- საპროექტოდოკუმენტაცია აგრეთვე აუცილებლად უნდა მოიცავდეს სპეციალურ ე.წ .სპეციფიკაციების ნაწილს, რომელშიც მოცემული უნდა იყოს სამშენებლო სამუშაოთა აწარმოების მეთოდების და ტექნოლოგიების დეტალური, თანმიმდევრობითი აღწერა და გამოყენებული სამშენებლო მასალების ხარისხობრივი მაჩვენებლები.

### 3.4. დავალების შესრულების წესი

ა) დავალების შესრულების წესი განისაზღვრება დავალების შინაარსით და ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით;

ბ) გამარჯვებულმა კონკურსანტმა შენობის ესკიზური პროექტი უნდა შეათანხმოს შემსყიდველ ორგანიზაციასთან. შემსყიდველი ორგანიზაცია იტოვებს უფლებას, შეიტანოს ცვლილებები წარმოდგენილ ესკიზურ პროექტში.

### 3.5. მიმწოდებლის პასუხისმგებლობა

ა) მიმწოდებელი პასუხისმგებელია სრულყოფილი საპროექტო-სატენდერო დოკუმენტაციის ხარისხიანად დამუშავებაზე და სამშენებლო სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე;

ბ) იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის დაშვებული ხარვეზების გამო მშენებლობის პროცესში აღმოჩნდება სახარჯთაღრიცხვო ღირებულების 10%-ზე მეტი გაუთვალისწინებელი დამატებითი სამუშაოების შესრულების აუცილებლობა, ამ ანაზღაურებას მიმწოდებელი იღებს თავის თავზე.

### 3.6. კუთვნილება

ა) ამ დავალებასთან დაკავშირებით მომზადებული ნებისმიერი შესწავლა, ანგარიშები, გრაფიკული ან სხვა სახის მასალები ეკუთვნის შემსყიდველ ორგანიზაციას და რჩება მის საკუთრებაში.

ბ) მიმწოდებელს არ აქვს ამ მასალების გამოყენების უფლება სხვა სამუშაოების შესასრულებლად შემსყიდველის წინასწარი თანხმობის გარეშე.

გ) მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს პროექტის სრული მოცულობის ელექტრონული ვერსია.

ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა  
(საბანკო გარანტია)

ვის: \_\_\_\_\_  
(შემსყიდველის დასახელება)

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ \_\_\_\_\_  
(მიმწოდებლის დასახელება)

შემდგომში “მიმწოდებელმა” \_\_\_\_\_ ტენდერში წარდგენილი თავისი  
(ტენდერის დასახელება)

სატენდერო წინადადების შესაბამისად იკისრა ვალდებულება წარმოადგინოს საბანკო გარანტია მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გარანტიის სახით ხელშეკრულებაში მითითებულ თანხაზე, ჩვენ თანახმა ვართ გავცეთ მიმწოდებლის სახელზე ზემოთ აღნიშნული გარანტია.

ამასთან დაკავშირებით, ვადასტურებთ, რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე მიმწოდებლის სახელით საერთო თანხაზე

\_\_\_\_\_ (თანხა ციფრებით) (თანხა სიტყვებით)

და ვკისრულობთ ზემო აღნიშნული თანხის გადახდას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის საფუძველზე თქვენი პირველივე მოთხოვნისთანავე.

წინამდებარე გარანტია ძალაშია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების საბოლოოდ დამთავრებამდე.

გარანტების ხელმოწერა და ბეჭედი

\_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

(თარიღი)

\_\_\_\_\_

(მისამართი)



ინფორმაცია ანალოგიური მომსახურების შესრულების შესახებ

№	დამკვეთის დასახელება	ობიექტის დასახელება	შესრულების პერიოდი	შესრულებული სამუშაოს ღირებულება	შენიშვნა

შენიშვნა: დამკვეთს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსრულებელს აღნიშნული ინფორმაციის გადამოწმება.

## სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი

ქ. თბილისი

2012 წ.

ერთის მხრივ ს.ს.ი.პ „დაცული ტერიტორიების სააგენტო“ (შემდგომში – „დამკვეთი“), წარმომადგენელი მისი თავმჯდომარის გიორგი შონვაძის სახით და მეორეს მხრივ, ----- (შემდგომში – „შემსრულებელი“), მისი დირექტორის ----- სახით ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

### 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია: დაცული ტერიტორიების ინფრასტრუქტურის მოწყობა/დაგეგმვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა, დანართი №1-ის შესაბამისი ტექნიკური დავალების შესაბამისად (CPV71200000 – არქიტექტურული და მასთან დაკავშირებული მომსახურებები) კონკურსის საშუალებით.

1.2. შესყიდვა ხორციელდება სააგენტოს საკუთარი შემოსავლების ფარგლებში.

### 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრება ლარებში.

2.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს ----- ლარს;

2.3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადებს.

### 3. მომსახურების შესრულების ვადები

3.1. მომსახურების გაწევის ვადა განისაზღვრება 2012 წლის -----.

### 4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება ხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე;

4.2. იმ შემთხვევაში თუ, შესრულებული მომსახურებია შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, „დამკვეთი“ მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ახორციელებს გაწეული მომსახურების მიღებას, ხოლო თუ მომსახურების გაწევის პროცესში გამოვლინდება, რომ იგი არ აკმაყოფილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს „დამკვეთს“ უფლება აქვს არ მიიღოს მომსახურება და მოსთხოვოს „შემსრულებელს“ ხარვეზის აღმოფხვრა თავისივე ხარჯით;

4.3. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების 4.2. პუნქტის საფუძველზე არ განხორციელდა მომსახურების მიღება, „შემსრულებელი“ ვალდებულია გონივრულ ვადაში უზრუნველყოს ხარვეზის აღმოფხვრა,

წინააღმდეგ შემთხვევაში „შემსრულებელს“ დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

4.4. „შემსრულებელმა“ „დამკვეთს“ უნდა წარუდგინოს მომსახურების მიწოდებისას მიღება-ჩაბარების აქტი, პროექტის შედეგად შექმნილი დოკუმენტაცია როგორც ელექტრონული, ისე ბეჭდური ვერსია და კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტაცია;

4.5 „დამკვეთის“ მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს ს.ს.ი.პ. „დაცული ტერიტორიების სააგენტო“-ს თანამშრომლები.

## 5. ანგარიშსწორება

5.1. ანგარიშსწორება „შემსრულებელთან“ ხორციელდება ლარებში.

5.2 იმ შემთხვევაში თუ „შემსრულებელი“ ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 სამუშაო დღეში წარმოადგენს საბანკო გარანტიას წინასწარი (ავანსის) თანხის გადახდაზე „დამკვეთი“ ვალდებულია 5 სამუშაო დღის განმავლობაში განახორციელოს წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) საბანკო გარანტიაში მითითებული თანხის შესაბამისად, მხოლოდ არაუმეტეს მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 50%-ის. საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა მინიმუმ 30 დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას;

5.3 საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდება ხელშეკრულების 4.4. პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, მათი წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში;

5.4. ანგარიშსწორება განხორციელდება „შემსრულებლის“ საბანკო რეკვიზიტებზე.

## 6. მხარეთა ვალდებულებები

6.1. „შემსრულებელი“ ვალდებულია:

6.1.1. ჩააბაროს „დამკვეთს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპროექტო დოკუმენტაცია დასრულებული სახით, ელექტრონული ვერსია (3 ეგზემპლარად) იგივე წარმოდგენილი ალბომის სახით (3 ეგზემპლარად) და ობიექტების სამგანზომილებიანი ვიზუალიზაცია (რენდერი) 2012 წლის -----;

6.1.2. საპროექტო დოკუმენტაცია, მისი ნებისმიერი ნაწილი ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები არ გადასცეს მესამე მხარეს „დამკვეთის“ წერილობითი თანხმობის გარეშე;

6.1.3. საპროექტო დოკუმენტაცია ან მასთან დაკავშირებული ინფორმაცია შეინახოს შესაბამისად დაცულ ადგილზე;

6.1.4. მშენებლობის პროცესში განახორციელოს საავტორო ზედამხედველობა;

6.1.5. „დამკვეთს“ გაუწიოს მომსახურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარმოდგენა;

6.1.6. უზრუნველყოს ხარვეზების აღმოფხვრა (მისი არსებობის შემთხვევაში);

6.1.7. კეთილსინდისიერა და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

6.1.8. დროულად განიხილოს „დამკვეთის“ მხრიდან წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან;

6.2. „დამკვეთი“ ვალდებულია:

6.2.1. უზრუნველყოს „შემსრულებლის“ დროული და სრული დაფინანსება;

6.2.2. დროულად განიხილოს „შემსრულებლის“ მხრიდან წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან;

6.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

## 7. მხარეთა უფლება

7.1. „შემსრულებელს“ უფლება აქვს:

7.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება;

7.2. „დამკვეთს“ უფლება აქვს:

7.2.1. თავისი ვალდებულების შესასრულებლად თავისივე ხარჯით საქმეში ჩართოს როგორც თავისი წარმომადგენლები, ასევე მესამე პირები;

7.2.2. განაცხადოს უარი უხარისხო მომსახურების მიღებაზე.

## 8. ფორს-მაჟორი

8.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დაღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

8.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაუღებელი და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული „დამკვეთისა“ და/ან „შემსრულებლის“ შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომიტ, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა;

8.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას ისეთი ალტერნატიულ ხერხებით, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 9. ხელშეკრულების პირობებისა და ფასების გადასინჯვა

9.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს „დამკვეთი“ არ არის ვალდებული წარუდგინოს „შემსრულებელს“ რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა;

9.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

9.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა;

9.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 10. სადაო საკითხების გადაწყვეტა

10.1. „დამკვეთმა“ და „შემსრულებელმა“ ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ;

10.2. თუ „დამკვეთი“ და „შემსრულებელი“ ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

## 11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ 10 (ათი) დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

## 12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

12.1. იმ შემთხვევაში, თუ „შემსრულებლის“ მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად არ განხორციელდა შესაბამისი ხარისხის და ოდენობის მომსახურების მიწოდება, „შემსრულებელს“ დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

12.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების ან შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური ღირებულება გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება;

12.3. „დამკვეთის“ მხრიდან 5 პუნქტით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში „დამკვეთს“ „შემსრულებლის“ სასარგებლოდ დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

## 13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

13.1.1. მხარეთა შეთანხმებით;

13.1.2. ერთი მხარის მიერ 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის;

13.1.3. ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, მეორე მხარის წერილობითი გაფრთხილებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში;

13.1.4. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

## 14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2012 წლის -----

## 15. განსაკუთრებული პირობები

15.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე მხარეს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

15.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით;

15.3. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა;

15.4. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „შემსრულებელთან“, ხოლო ერთი ეგზემპლარი „დამკვეთთან“.

„დამკვეთი“

ს.ს.ი.პ. „დაცული ტერიტორიების სააგენტო“

ქ. თბილისი, გულუას ქ. №6

ტელ: 995 32 2752352

ს/კ: 204911337

სახელმწიფო ხაზინა

სახაზინო კოდი: 220101222

ა/ა №200122900

---

გიორგი შონვაძე

თავმჯდომარე